



# מִנּוֹרָה

გამოცდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ცხრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מִנּוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

### გაეროში ანტისემიტიზმზე მსჯელობები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 26 ივნისს გამართულ გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც ციფრული ტექნოლოგიის ხანაში გამოვლენილი სიძულვილის საკითხებს განიხილავდა, გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტიერეშმა აღნიშნა, რომ 2017 წლის მონაცემებთან შედარებით, 2018 წელს ანტისემიტიზმთან დაკავშირებული აქტები 13 % გაიზარდა. ანტონიუ გუტიერეშმა ყოველ ქვეყანას მოუწოდა ყოველი ღონე იხმარონ რასიზმის ნებისმიერი ფორმის დასაძლევად.

გენერალური მდივნის თქმით, პოლოკოსტი არც ისე დიდი ხნის წინათ იყო, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს და იგი იყო შუაგულ ევროპაში. მან გაიხსნა სინაგოგებზე თავდასხმები აშშ-სა და ევროპაში, ასევე თავდასხმები მეჩეთებსა და ეკლესიებზე.

— ჰიტლერი დამარცხდა, მაგრამ ანტისემიტიზმი არ გამერალა. ამ დღემდე ჯერ კიდევ შორსა ვართ.

გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე მარია ფერნანდა ესპინოსამ მოიყვანა ცნობები ევროპასა და პლანეტის სხვა რეგიონებში ანტისემიტიზმის ზრდის თაობაზე და საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა „გააორმაგოს ძალისმევა, რათა აღკვეთილ იქნას მასიური მკვლელობები „გენოციდი“ რათა მოწოდება „არასოდეს განმეორდება“ უძრალო ლოზუნგად არ იქცეს“. მარია ფერნანდა ესპინოზა მიიჩნევს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ინტერნაციონალური სიძულვილის გამომხატველ პუბლიკაციებს, და



აღნიშნა: მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის კვლევის თანახმად, ინტერნეტრში ყოველდღიურად ჩნდება პოლოკოსტის უარმყოფელი ასამდებუბლიკაცია. დასასრულს მან მოიყვანა ელი ვიზელის ციტატა: სიყვარულის ანტითეზა არა სიძულვილი, გულგრილობაა.

### ბრალი წაუყენეს

გაზეთი „მენორა“ (№6) იუწყებოდა, რომ ისრაელში გამოავლინეს დანაშაულებრივი ქსელი, რომელსაც სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტის გვერდის ავლით სახელმწიფოში ქართველი არალეგალები შეჰყავდა. 8 ივლისს ისრაელის პროცესუალურად რიშონ ლე ციონის სასამართლოში წარადგინა ბრალდება ისრაელის 44 წლის მოქალაქის — დუდი ქონის წინააღმდეგ. დუდი ქონება ბრალდ ედება დანაშაულებრივი ქსელის შექმნა, რომელსაც ისრაელში ფარულად შეჰყავდა ქართველი არალეგალური პირები, ასევე უცხოეთის პასპორტის კანონის დარღვევა და გამოძიებისა და სასამართლოს წარმოების ხელისშეშლა.

ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრმა არიე დერიმ პარლამენტის (ქნესეთის) საშინაო საქმეთა კომისიის სხდომაზე განაცხადა:

— დღეს ისრაელში უვიზო მიმისულის მეოხებით უკრაინიდან და საქართველოდან შემოსული და შინ არდაბრუნებული 79 ათასი პირი იმყოფება. ძალიან პატივისცემით ვართ გამასჭვალული ამ ქვეყნების მოქალაქეებისა და მათი პრობლემების მიმართ, მაგრამ თავს ვერ მივცემთ იმის უფლებას, რომ თელ-ავივში შევქმნათ სახელმწიფო სახელმწიფოში.

### პრეზიდენტის მოწოდება



ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი აცხადებს:

— ძლიერ შეშფოთებული ვართ მსოფლიოში ანტისემიტიზმის ასეთი ზრდით. ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის კვლევის თანახმად, 2017-2018 წლებში ინტერნეტში ანტისემიტური კომენტარები სამჯერ გაიზარდა. ეს ძალიან საგანგაშოა და ხელს უწყობს ებრაელობისადმი სიძულვილის გალვივებას. არ შეიძლება შევურიგდეთ ამ ერთობ სამორცხვიონ და მეტად საგანგაშო მდგრადი დაულალავად ებრძოლობ სიძულვილის გამოვლინებას, ებრძოლონ ებრაელთა მიმართ ძალადობას.



### ბრით-მილა ციხეში

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი ესწრავების კონგრესის მუშაობის უფროდაუფრო გააქტიურებას. ამის კიდევ ერთი დასტური გახლავთ ჩერნიგორიაში კონგრესის ახალი რეგიონალური ოფისის გახსნა. ეს ოფისი მონიტორინგის გაუწევს ალპანეთის, ხორვატის, ჩრდილოეთ მაკედონიის, სერბიისა და სლოვენიის ებრაელთა ყოფას, ასევე შეეცდება მიიზიდოს ბოსნიისა და პერუ-გოვინის ებრაელობა.

ამასთან დაკავშირებით მ.მირილაშვილი აცხადებს:

— ამ შემთხვევებში ჩვენ გვამოქმედებს ერთი მიზანი: ბალყანეთის ქვეყნებში მხარი დაუუჭიროთ იმ მნიშვნელოვან პროგრამებს, რომლებიც აუმჯობესებენ ებრაული თემების მდგომარეობას. ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი დაიცავს ამ ქვეყნების ებრაელობის უფლებებსა და ინტერესებს, იმეცადინებს იმისათვის, რომ შენარჩუნებული იქნას და გაძლიერდეს ეროვნული, რელიგიური ტრადიციები.

ამის ერთი დასტური გახლდათ ბრით-მილა, რომელიც 2 ივლისს ერთ-ერთ ციხეში ჩატარდა. ამ დღისათვის ციხეში თავი მოიყარეს ჩერნიგორიის ებრაული თემის ლიდერებმა, ისრაელიდან ჩამოვიდა მოელი, რომელ-მაც არა მხოლოდ ციხეში დაბადებულ პატარას ჩაუტარა წინადაცევის რიტუალი, არამედ ჩერნიგორიის ებრაული თემის რამდენიმე წევრისაც.



ჩერნიგორიის ებრაელთა თემის წევრები ერთ რჯახად შეკრულან.

ასეთი რამ ჩერნიგორიის პენიტენციარულ სისტემაში პირველად მოხდა, რისთვისაც ჩერნიგორიის ებრაელთა თემის ხელმძღვანელი არიე ედელკოპი მადლობას მოახსენებს ციხის ადმინისტრაციას.

## რატომ მოკლეს ვიტალი?

ციხო თარენიშვილი



„რამ მიიყვანა სიკვდილამდე ჩემი შვილი? სამართალდამცავი ორგანოების გულგრილობამ იმ სხვადასხვა ფაშისტური დაჯგუფებისადმი, რომლებიც ქადაგებენ სიძულვილის იდეოლოგიას. თუკი ახლავე არ დავიწყებთ მათთან ბრძოლას, მსხვერპლი გაიზრდება და დადგება დრო, როცა მოგვინევს ვალიაროთ, რომ თავად ჩვენ არაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ არ მოეკლათ ჩვენი შვილები იმ ქალაქის ქუჩებში, რომლებიც მათ ასე უყვარდათ. ახლა ძალიან მიჭირს წერა, მაგრამ გადავწყიტე დავიწყო ბრძოლა და მგონა, რომ ყველა ოჯახი, ყველა დედა გამიგებს და გვერდში დამიდგება. ჩვენ შვილები გვყავს. ვინ იქნება შემდგები? - ეს სახის ფეისბუკზე გვერდზე გამოაქვეყნა მარინა ალანაკიანნა, 30 სეტემბერს მოკლული ვიტალი საფაროვის დედამ.

25 წლის ვიტალის ოჯახის წევრები და მათი უფლებადამცველები ფიქრობენ, რომ 30 სეტემბრის გამოცნისას დიუმას ქუჩაზე მეგობრებთან ერთად ბარში მყოფი ვიტალი სიძულვილის ნიადაგზე მოკლეს. მათი თქმით, სავარაუდოდ, მკვლელობა განხორციელდა ქსენოფონიურ ნიადაგზე, რაც გულისხმობს უცხოელთა ან განსხვავებულ ადამიანთა მიმართ შეს ან/და სიძულვილს.

პოლიციამ ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე ორი პირი მალევე დაკავავა. ერთის მიმართ გამოძიება განზრას მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სკ-ს 108-ე მუხლით დაიწყო, რაც 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების ალევეთას ითვალისწინებს. მეორე დაკავებულს კი ბრალდება დანაშაულის შეუტყობინებლობას ედავება და, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, 2-დან 4 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

„ჩართულობის და განვითარების“ ცენტრის „ხელმძღვანელი აგიტ მირზოევი ვიტალი საფაროვის ახლო მეგობარი იყო. ის დარწმუნებულია, რომ ვიტალი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შეს-

ვერპლი გახდა. აგიტ მირზოევი რადიო თავისუფლებას უმბობს ვიტალი საფაროვის შესახებ, რომელიც მათ ორგანიზაციაში ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა და აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდებისთვის ტოლერანტობის ბანაკების ორგანიზების პროექტში. ვიტალი ახალგაზრდებს ტოლერანტობას, ერთმანეთის გრძნობებისა და ღირსების პატივისცემას ასხავლიდა. აგიტის თქმით, ვიტალი იყო პატიოსანი, კანონმორჩილი მოქალაქე, რომელიც შეენირია იმას, რის წინააღმდეგაც იბრძოდა:

„თავად ვანარმოეთ თვითმხილველების გამოკითხვა და, მათი ჩვენებებიდან გამომდინარე, ნამდვილად არსებობს საფუძველი, რომ მუხლი გადაკალიფირდეს. აშკარაა, რომ სახეზე გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-მუხლით ჩადენილი დანაშაული. კერძოდ, ვიტალი საფაროვის მკვლელობა არის ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, ჯაუზურად, ხულიგური ქვენა გრძნობით, რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწინარებლობის გამო, რაც ითვალისწინებს თავისუფლების ალევეთას ვადით 13-დან 17 წლამდე. ჩვენ გვაქვს ორი მოთხოვნა. პირველი, ეს იყო ჯაუზურად ნიდენილი დანაშაული და მეორე, იყო სიძულვილით მოტკირებული, რაც ჩვენი კანონმდებლობით არის დამამდიმებული დანაშაული და მეორე, იყო სიძულვილით მოტკირებული, რაც ჩვენი კანონმდებლობით არის დამამდიმებული დანაშაული და მეორება“.

ვიტალის ოჯახის წევრებისა და მეგობრების ეჭვებს ამძაფრებს თვითმხილველთა მონათხოვი, თუ რა გახდა 25 წლის ახალგაზრდის მკვლელობის საბაბი. როგორც აგიტ მირზოევი უყვება რადიო თავისუფლებას, ვიტალი დიუმას ქუჩაზე, ბარში, იმყოფებოდა ორ მეგობართან ერთად, რომლებსაც რუსულ ენაზე ელაპარაკებოდა. იქვე მყოფმა ერთერთმა ახალგაზრდამ მას შენიშვნა მისცა: „რატომ ლაპარაკობ რუსულად? თუ ქართველი ხარ, ქართულად უნდა ილაპარაკონ და ტრადიციებს სცკ პატივით. ვიტალიმ უპასუხა, რომ მისი გადასაწყვეტი იყო, რა ენაზე ილაპარაკებდა. ამის შემდეგ სამმა ახალგაზრდამ ვიტალი გაიყვანა გარეთ და ბლაგვი საგნითა და დანით სასტიკად გაუსწორდნენ“.

იქცევდნენ სამინდად აგრესიულად, იძახდნენ, რომ იყვნენ წინაცისტები...

როგორც ვიტალის ოჯახის წევრები სამართლებრივი ინტერესების დამცველ როგანიზაციაში, „ადამიანის უფლებათა ცენტრში“, აცხადებენ, მათ გაარვიეს, რომ მკვლელობის მოწევებს ბოლო რომ წლის განმავლობაში არაერთხელ შეუტყობინებიათ საინფორმაციით ცენტრ 112-ისა და კრიმინალური პოლიციისათვის დაკავებული ბრალდებულების მიერ ჩადენილი მსგავსი ძალადობის შემთხვევები,

„მენორას“ რედაქციაშ კო-მენტარისათვის მძმართა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის დარიქტორის ქალენჯ ბერგოვის, რომ მეტადან შედანებულ შედება ერთად ერთად მოძრაობის შედებაზე მოძრაობის და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, 2-დან 4 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ვიტალის ამბობები ამბობს:

— 2018 წლის 30 სეტემბერის შემთხვევეთ რომ ვიტალი საფაროვის მკვლელობის მოძრაობაზე მოძრაობა და დანაშაულის შეუტყობინებლობას უძღვად, ცავი ათადის მრავლითი ქრისტიანით, დაიღუპა 25 წლის გიტალი საფაროვის შემთხვევაზე.

— 2018 წლის 30 სეტემბერის შემთხვევეთ რომ ვიტალი საფაროვის მკვლელობის მოძრაობაზე მოძრაობა და დანაშაულის შეუტყობინებლობას უძღვად, ცავი ათადის მრავლითი ქრისტიანით, დაიღუპა 25 წლის გიტალი საფაროვის შემთხვევაზე.

— 2018 წლის 30 სეტემბერის შემთხვევები ამბობს:

— 2018 წლის 30 სეტემბერის შემთხვევები ამბ



# თომას მანი

## ებრაული ფენომენის შესახებ

## ლეილა თათრუაშვილი

თომას მანის, როგორც გერმანელი მწერლის, შემოქმედების მთავარი პრობლემა დაუძლეველი წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეალს, „საქმესა“ და „სულს“ ან „ბიურგერსა“ და „ხელოვანს“ ზორის. „ხელოვანში“ თომას მანი გულისხმობს არა მხოლოდ „წმინდად“ ხელოვანს – ვთქათ მწერალს, მხატვარს და ა. შ. არამედ – სულიერებისკენ მიღრეკილ ყოველ ადამიანს, ე. წ. „სულის“ კაცს, ბიურგერის ანუ „პრაქტიკობის“, „საქმის“ კაცის საპირისპიროდ. ესაა ანტითეზა, რომელიც არტურ შოპენჰაუერისა და ფრიდრიხ ნიცშეს სულიერებიდანაც მომდინარეობს და რომელთა მიხედვითაც „ყოველი კაცი ცალმხრიობისთვისაა განწირული; ის ან „სულის“ ადამიანია, ან „ცხოვრების“ (საქმის). ამ წინააღმდეგობის გადალახვას ანუ განყოფილი „საქმისა“ და „სულის“ ერთქმნას თომას მანი მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე ცდილობს. დამოკიდებულება ებრაული ფონმენის, ანუ როგორც თავად უწოდებს, „იუდენტუმის“ მიმართ, თომას მანის შემოქმედებაში მთავარ პრობლემაშია ორგანულად „მოქცეული“ და მისივე ეროვნულობიდან ანუ „გერმანელობიდან“ იღებს სათავეს. „ებრაელობისადმი ჩემს დამოკიდებულებაში – წერს თ. მანი, – თავიდანვე იყო რაღაც ავანტიურისტულ-ამქვეყნიური; მასში ვჭვრეტდი საიმისოდ შესაფერის ფერწერულ ფაქტს, რომ სამყაროში მეტი ფერადოვნება შემეტენა. და თუ ეს ესთეტიკურ უპასუხისმგებლობად უღერს, გავტედავ და დავსძენ: ებრაელობისადმი ჩემს დამოკიდებულებაში ეთიკურ პრობლემას ვხედავდი – ამაღლებულ სიძნელეთა და არაჩვეულებრიობათა იმ სიმბოლოთაგანს, რომელიც მე, როგორც ხელოვანს, ხშირად მიძებნია; გაგება ებრაული ფენომენისა – რიგორც არტისტულ-რომანტიკულისა, – რომელიც გერმანული სულის მსგავსია, – თავიდანვე იყო მისაღები ჩემი გემოვნებისათვის. ყველაზე ნაკლებ კი ის ებრაელი მომწონდა, ვინც ამ ფაქტის მიჩქმალმვაში იყო დახელოვნებული და უკვე იმაში ხედავდა ანტისემიტიზმს, თუ ვინმე ყურადღების გარეშე არ სტოვებს ისეთ მკვეთრ (კაშკაშა) ფენომენს, როგორიცაა ებრაელობა“. ამას წერს თ. მანი ესსეში, „ებრაული საკითხისათვის“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1965 წ. 15 იანვარს, თ. მანის გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ, გაზეთ „ფრანკფურტერ ალგემიანე ცაიტუნგში“, მისი ცოლის – კატია მანის ნებართვით, რომელიც ებრაელი იყო – მიუნცენის უნივერსიტეტის მათემატიკის პროფესორის, ალფრედ პრინგ-ჰაიმის ქალიშვილი.

მაგრამ ესავს, რომელშიც კარდინალური საკითხები ისე იყრის თავს, რომ მათში თ. მანის მთელი შემოქმედება იმ არსებით პრობლემაში პროექტირდება, — ერთადერთი არ არის, სადაც უკვე ჩანს მისი დამოკიდებულება ეპრაული ფენო-მენისადმი. უფრო კი ისაა მთავარი, რომ თომას მანის ჰუმანისტური მიმართება იმ „მკვეთრი“ ფენომენის მიმართ მხოლოდ იმაში კი არ ჩანს, რაც მწერლის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, ანუ აქ ის შემთხვევა კი არ არის, როცა მწერალს, თანაც ისეთი რანგისას, როგორიც თომას მანია, ნებსით თუ უნებლიერ, ეხამუშება თავისი სიმპათიის, სულაც, თანადგომის გამოხატვა და, ამდენად, ეს თანადგომა „იმდენადვეა კეთილსინდისიერი, რამდენადაც უიმედო“, თომას მანის პოზიცია იმიტომაა სულიერ-ინტელექტუალური გმირობის ტოლფასი, რომ იგი ფაშისტური გერმანიის „ნი-ალში“ ჯერ იმას წერს – გერმანული სული ეპრაულის მსგავსიაო, მერე აღნიშნავს: ეს მსგავსებაა, რამაც დიდწილად განაპირობა გერმანული ან-ტისემიტიზმის „გაფურჩქვნაო“, და ბოლოს, თავისი შემოქმედების უმთავრესი პრობლემის, იმ ორი განყოფილი „ნაწილის“ — „საქმისა“ და „სულის“, „ცხოვრებისა“ და „იდეალის“ ერთქმნას თ. მანი საკუთარი რომანის გმირის — ბიბლიური იოსების – პიროვნებაში ხედავს, რომელიც თავისი ცხოვრების „მოგვიანო“ პერიოდში „სულიერი კულტურის მქონე, ინტელექტუალიცაა და „პრაქტიკოსით“ (იხ. „იოსები და ძმანი მისნი“, რომელიც 1933-43 წწ. იწერებოდა). თომას მანმა ცხოვრებასა და ხელოვნებას შორის გადაულახავი წინააღმ-

დეგობის თემაც ეპრაული „ასპექტით“ გაშალა (ანუ აქაც გაშალა) თავისი ესთეტიკის შედევრში — „ფრანგ კაფეა და მისი ციხე-კოშკი“, მაგრამ ეს უკვე სხვა პრობლემაა. აქ კი მიყვეთ თომას მანის ესსებს, დღიურებს, კორესპონდენციებს, რადგან ამჯერად მხოლოდ ამ მასალის „გასწვრივ“ მოგვიხდება საკითხთან მიმართება, ცხადია, შემოქმედების გათვალისწინებით, მაგრამ არა მოხმობით, რადგანაც იგივე ფენომენი (იუდენტუმი) თომას მანის მხატვრული შემოქმედების მიხედვით ცალკე პრობლემაა; ანუ: ერთ მოხსენებაში შეუძლებელია ერთბაშად ყველაფრის „მოწოდება“, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად...

ჯერაც 1935 წლის 19 მარტს ერის კალერს წერს თ. მანი: ხომ არ შეიძლება უარყო და არარსებულად გამოაცხადო ის ფაქტი, რომ ჯერ ეპრაელები და მხოლოდ მათ შემდეგ - ბერძნები ქმნიან დასავლეთევროპული ცივილიზაციის სულიერ საფუძველს? რა არის ქრისტიანობა, თუ არა სულიერი ნაყოფი იუდაიზმისა! იუდაიზმი ცივილიზაციის თვალსაწირიდან ყოფიერების კულტურული საფუძველია, რადგან იგი იცავს პოზიტურ ღირებულებებს, ის, რომ სახელდობრ, მე, როგორც მწერალს, ებრაელობა უაღრესად სიმპათიურ ფენომენად მესახება, — ყველაზენდა გაიგოს. რელიგიური საყრდენი უძევს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ ეპრაელები განიცდიან ღრმა ინტერესს და მისწრაფებას ყოველგვარი სულიერებისადმი. ღირებურაციისადმი ებრაელთა დამოკიდებულებამ არ შეიძლება არ ააღელვოს მწერლის გული. ისეთი სიყვარული პოზიის მიმართ, ებრაელს რომ აქვს, მხოლოდ ფრანგებს ახასიათებთ, რომელთათვის პოზია თითქმის ეროვნულ რანგშია ატანილი<sup>1</sup> (მევიტყოდი — ქართველთათვისაც ასეა. ლ. თ.). თომას მანი თვლის, რომ ანტისემიტიზმი, რომელიც ზოგადევროპული ხასიათისაა და გერმანიაში კი პირდაპირ „გაიფურჩქნა“, პირველ რიგში, იმ ერს ემუქრება დაშლითა და ლპობით, სადაც მან ასე ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა. ამას მე ვამბობ, გერმანელი, ვისთვისაც თანაბათანობით აუტანელი გახდა გერმანელებს შორის ცხოვრება და ვინც არასოდეს გაპატივებთ თქვენს კარგად ცნობილ სულგრძელ შელამაზებას, გერმანული სულის შეფასებისას რომ გამოიჩინეთ<sup>2</sup> — „ანტისემიტიზმი — ყველაზე სულელური პოზიციაა იმ პოზიციათა შორის, გონიერ კაცს რომ შეუძლია შეიმუშაოს... იგი სირცხვილია განათლებული და კულტურული ადამიანისათვის“ და „მის გამოხდომებში კვალიც კი არ ჩანს სამართლიანობისა“. ხოლო იმ „საგანგე-

თომას მანის პოზიციაში აშკარაა სირცხვილისა და დანაშაულის განცდა, გერმანელთა და გერმანელების გამო და ეს მხოლოდ ებრაული ფენო-მენისადმი საგანგებოდ მიძღვნილ პუბლიკაციებში კი არ მჟღავნდება, არამედ ისეთ „არაებრაულ“ ეს-სეში, როგორიცაა „ძმა ჰიტლერი“ („რუდერ იტ-ლერ“), რომელიც ფიურერს „ძმას“ კი უწოდებს (გერმანელობის პოზიციიდან და არა მხოლოდ ამიტომ), მაგრამ ისეთ ძმას, „რომელიც შეგარცხვენს“. ხოლო ერთგან წერს: „განტევების ვაცის“ ამბავი ძველი და ბრძნული ამბავია, რომელიც გერმანელებმა ცნობად უნდა მიიღონ. როცა ქვეყნად ცოდვა-ბრალს სთესენ, და რადაც არ უნდა დაუჯდეთ, სურთ სხვა ვინზე გაუყენონ შორეულ უდაბნოეთს, არავითარი საფუძველი არა აქვთ, ამით თავი მოჰქონდეთ“. გაცილებით ადრე, 1907 წ.



იბეჭდება თ. მანის ცუბლიკაცია „ებრაული საკითხ-ის გადასაწყვეტად“ (თომასი მაშინ 32 წლისაა), რომელშიც იგი გამოკვეთილი ფილოსემიტია – ზოგადად იუდენტუმის, კერძოდ, ევროპელი ებრაელების გულწრფელი ქომაგი, თანაც მის „ქო-მაგობაში“ შემწყნარებლობითი თავმოწონება კი არ ჩანს, არამედ საკუთარი ეროვნული განცდის ტოლფასი სიფაქიზე; საკითხს კი არ „აშიშვლებს“ ცნობისნადილაყოლილი და ინფორმაციის „დან-აყრებული“ გურმანის ყაიდაზე, არამედ საკუთარ, ძვირფას განცდად ქცეული, სურს, სასოებით მოგანოდოს (ხომ წერს: „ებრაელობისადმი ჩემს დამოკიდებულებაში ეთიკურ პრობლემას ვხე-დავდი, ამაღლებულ სიძნელეთა და უჩვეულო-ბათა იმ სიმბოლოთაგანს, რომელსაც, როგორც ხელოვანი, მუდამ ვეძებდიო!“). ესაა მისი რუდუნე-ბაც და კარგი ევროპელობაც, რაც მე, პირადად, რა თქმა უნდა, მხიბლავს, მაგრამ არ მიკვირს და არ მიკვრს, როგორც აქაურს მუდამ და „უფრო ადრეც“, მაგრამ ილია ჭავჭავაძესთან კი განსა-კუთრებით, მისი წერილის ტონში, რომელიც იმავე საკითხს ეხება, ის იკითხება, „რაც თომას მანთან, ოღონდ – ტიპიურ ქართულ ყაიდაზე, ანუ ისე, როცა საკუთარი ეროვნული ღირსების გრძნობაა შერწყმული ერთგვარ რიდთან ან კრძალვასთან. ასე იყო მოაქუამდე და ამ დღეებშიც გაიყდერა ამ სწორმა პოზიციამ არაერთგან, განსკუთრებით კი ჩემი საყვარელი გაზეთის — „ლიტერატურული საქართველოს“ მეთაურ წერილში, რომელიც ბ-ნ თამაზ ჭილაძეს ეკუთვნის.

„ბატონი“ ადღოლფ ჰიტლერის ჰიპოთეზის საწინააღმდეგო და მანი, — მე ებრაული არა ვარ; ჩემში თუმცა არის სხვა სისხლი, მაგრამ არა ებრაული, არამედ — რომანული (თ. მანის დედა — იულია დე სილვა ბრუნსი დედით ბრაზილიელი იყო. — ლ. თ.), ამასთან არც უფლება მაქვს, არც სურვილი, რომელიდაც შოვინიზმი ვიქადაგო. და თუმცა საერთოდ არც თუ ისე უხვი ვარ მტკიცე და ურყევი შეხედულებებით — მე ურყევი და მტკიცე ვარ — ფილოსემიტი ვარ“ (იხ. „ებრაული საკითხის გადასაწყვეტად“). ამავე თხზულებაში წერს თომას მანი, რომ „ებრაული საკითხის გადაწყვეტა მე მე-სახება კულტურის განვითარებასთან უწყვეტ კა-ვშირშით“. „და თუ ეს საკითხი, — განაგრძობს თ. მანი, — რუსეთში გაცილებით საშინელი და სისხლიანია, ვიდრე ჩვენში“, ეს უბრალოდ, იმით აიხსნება, რომ „რუსეთი საერთოდ უფრო ახლოა ბარბაროსობასთან, ვიდრე ჩვენი დასავლეთი ნაწილი ევროპისო“ იგი თვლის, რომ ებრაული საკითხის გადაწყვეტა იმაზეცაა დამოკიდებული, „თუ როგორ იღვნის თითოეული ჩვენგანი ცივილიზაციისა და კულტურისათვის ინდივიდუალურად“.

მაგრამ თომას მანის ურყევი პოზიცია იუდენ-ტუმის მიმართ თუმცალა ჰუმანისტურია და „ფილოსემიტურიც“, მაინც არასწორხაზობრივია. იგი მხოლოდ წინააღმდეგობრივი მოვლენების გათვალისწიოთ ყალიბდება. ასე, მაგალითად: თ. მანი ესახში „რატომ არ მართებს ებრაელ ხალხს სასოწარკვეთა“, ნერს: „ებრაელები ზედმინევნით სხვადასხვაგვარნი არიან საიმისოდ, რომ საკუთარ თავს ფილოსემიტი ვუწოდო“-ო, სხვაგან კი „ურყევ სემიტოფილად“ მიიჩნევს თავს. მაგრამ წინააღმდეგობა პოზიციებს შორის კი არ არის,

არამედ საკითხების სხვადასხვაგვარობაა გასათვალისწინებელი: იქ (ესსეში „ებრაული საკითხის გადაწყვეტისათვის“) თომას მანს საუბარი ჰქონდა იუდენტუმისადმი კეთილგანწყობაზე საერთოდ, აქ კი (ესსეში „რატომ არ მართებს“ და ა. შ.) იმას უსვამს ხაზს, რომ თუმცადა მისი დამოკიდებულება ცალკეული ებრაელისადმი არაერთგვაროვანია, „ანტისემიტიზმი, როგორც შეხედულებათა სისტემა“, მისთვის მიუღებელად კატეგორიულად. თანაც, აქ მინდა დავიმოწმო ჩემი იერუსალიმელი, აღმოსავლეთ ევროპიდან „ამოსული“ კოლეგები: ასეთი შეფასება ებრაელი ხალხის სულისა და ისტორიაში მისი წვლილისა, უკომპრომისო „არა“ ანტისემიტიზმის მიმართ, სულაც არ ნიშნავს დასტურთქმას („ჰო-“-ს თქმას) ყველა სახის ებრაელზე. შემდეგ დასძენენ: „თომას მანის „იუდეოფილობა“ შორსაა იმ განწყობილებიდან, მიცვალებულთან დაკავშირებით რომ არის მიღებული: მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა, არ არაფერი“. ასეა. ებრაული ფენომენი იმდენად სიცოცხლისუნარიანი და გამძლე აღმოჩნდა – ფიზიკურადაც და მეტაფიზიკურადც, — რომ ჯანმრთელი ორგანიზმის სისალითა და კლასიკური სისადავით შეუძლია შეეგებოს ნათქვამს.

თ. მანი წერს: „ჩემი პირადი დამოკიდებულება ებრაელობისადმი იმ ფაქტით არის განცირობებული, რომ ებრაელთა შორის მყავდა საუკეთესო მეცობრებიც და უბროლესი მტრებიც. ამიტომაც ვარჩევ, არ მივცე დეფინიცია ამ ერს, ანუ ის არ ვთქვა, კარგია იგი თუ ცუდი. მაგრამ გერმანული ანტისემიტიზმი პროდუქტი და ინსტრუმენტია რასისტული მითოსისა. ბრძოსთვისაა განკუთხილი და მძულს სულის სიღრმემდე“. თ. მანის აზრით, „ესაა ფსევდოარისტოკრატიზმი პატარა, ძალზე პატარა ადამიანებისა“ და მათი „ფორმულა“: „მე შეიძლება არც არაფერს წარმოგადგენდე, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ებრაელი მაინც არა ვარ“. და ეს ობსეურანტიზმი, ღრმა სიბრძელე მაშინ, როცა თ. მანი წერს, ასეთია: „საკამათო გახადო მსოფლიოს კაცობრიობის ერთი ნაწილის უფლება სიცოცხლეზე, მეტადრე იმ ნაწილისა, რომელმაც ისეთი დიდი წვლილი შეიტანა ჩენენი დასავლური ცივილიზაციის საგანძურში, რასაც ებრაელთა წვლილი ჰქვია, — ნიშნავს, ღმერთი დამყარებული, უმეტესწილია დამოკიდებულობა, გერმან-

ული ანტისემიტიზმი; ემილ ბერნჰარდ კონისადმი ბარათში თ. მანი წერს: „გერმანული და ებრაული ბედის შეპირისპირება მუდამ მგვრიდა საგანგებო პოლემიკურ სიამოვნებას. გერმანელებით აღტაცებულნი არიან, ან სძულო ისნი იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც აღტაცებულნი არიან ან სძულო ებრაელები. და გერმანული ანტისემიტიზმი დიდი წილად არის დაფუძნებული სიტუაციათა ერთგვარობაზე“. თომას მანი წერს, თუ „რა აკავშირებდა ებრაელებთან“ და „აკავშირებდა სამუდამოდ“. — ესაა იუდეველთა სიყვარული ინტელექტისადმი, ბუნებრივი, თანდაყოლილი გულისხმიერება (ალლოიანობა) იმის მიმართ, რაშიც ვლინდება დახვეწილობა, სინატიფე, კადნიერი შემართება, თავისუფლება. მაგრამ თომასი იმასაც აღნიშნავს, რომ ებრაელთა ინტელექტუალური ტალაზტი და საგანგებო მგრძნობარება სიახლის მიმართ, რასაც ისინი მიესალმებოდნენ განსჯათა გარეშე, „უბრალოდ, როგორც ახალს“, დროდადრო აყვენებდა მათ „ცოდვიან და დამღუტებელ მოძრაობათა სათავეში“.

თომას მანი „იუდენტუმის“ ფენომენის გაგებაში დიდი გერმანელი განმანათლებლების მემკვიდრეა. კოტკოლდ ეფრაიმ ლეისნგმა ჯერ შეიფარა და მერე თავისი ბრძენი ნათანის პროტოტიპიად „აქცია“ ბერლინის კარიბჭეს მომდგარი ავადყოფი და მიუსაფარი მოსე მენდელსონი — რელიგიური ფილოსოფიის, რომელსაც ლარიბული ლუქმა გაუყო და საკუთარი დიდი, სულიერი სამყარო აჩუქა. განუზომელია ჰოლანდიელი ფილოსოფონის ბარუქ სპინोზას როლი გოეთეს შემოქმედებაში (ჰანინ „პოზიის სპინოზას“ უნიდებს გოეთეს), რომელიც მისი უსაყვარლესი მოაზროვნე იყო და რომლის „ეთიკის“ მთავარმა თეზისმა — ამორ დეი ინტელეცტუალის“, ებრაული ნეოპლატონიზმის — კაბალას — ურთულესი კორპუსისაგან რომ იღებს სათავეს, ე. წ. „მომთმენიანი ნინაალმდეგობით“ არის გაჯერებული და არქეტიპული საზრისი კი ე. წ. „ბიბლიური იობის“ ფენომენში კოდივით უძვეს, - გოეთეს პოზიტურად დააძლევინა თავისი შემოქმედების პირველი, ზვანი და კლასიკური, ე. წ. „შტიურმერული“ პერიოდი და კლასიკური, ე. წ. „ვაიმარული პერიოდის“ გზას შეუყვნა იგი.

ამგვარი გერმანელობიდან მოდის თომას მანიდა ამიტომაცა ბუნებრივი მისი, თუმცა არასწორები, მაგრამ ჭეშმარიტი ჰუმანიზმით აღმეტიდილი დამოკიდებულება სიონიზმის მიმართ, რომელიც კიდევ ებრაელთა დამყარებული, უმეტესწილად, გერმან-

წნდება „იუდენტუმის“ ფენომენისა. თომასი, როცა ამ მოვლენისადმი ეჭვითაა განწყორბილი — იქაც ჰუმანისტია. უფრო გვიან, როცა პალესტინაში იმოგზაურა და ეს სიონიზმი „განსხორციელებად“ თეორიად მიიჩნია — იქაც, ესსე-ში „ებრაელთა საკითხის გადაწყვეტისათვის“ წერს. „მე თუმცადა შეუხრელი, ურყევი ფილოსემიტი ვარ, მაგრამ ასევე შეუხრელად მჯერა, რომ გამოსავალი, გონების სიონისტები, ევროპისათვის ყველაზე დიდი უბედურება იქნება იმ უბედურებათა შორის, რაც კი საერთოდ შეიძლება თავს დასტყდომოდა ჩვენს ევროპას“. შემდეგ, როცა პალესტინას გაემგზავრა, რათა ენახა ქვეყანა „მომავლის წარსულში“ — სიონიზმში თომას მანი უკვე ხედავდა ებრაული ეროვნულობის აღორძინების პროცესს. „ვეგრძნობდი, რომ იმ ხალხში ვარ, — წერს თომას მანი, — რომლის აზრი და ემოცია ეროვნული იდეითაა ამაღლებული. ებრაელები არნახული მამაცობით მოსწყდნენ ცივილიზაციას, რათა ყველაფერი თავიდან დაეწყოთ და შეექმნათ სამყარო, სადაც ოცნებები და იდეალები სინამდვილედ იქცეოდნენ“... ისევ იდეალის სინამდვილედ ქცევა, ანუ განყოფილი „საქმისა“ და „სულის“ ანტიოზზა — თომას მანის შემოქმედების მთავარი პრობლემა, მისი სწრაფვა მათი ერთქმნისა, რასაც იგი, გერმანელი მნერალი, გერმანიის ბედადაც მიიჩნევდა, თუნდაც იმ ასპექტში, ჰაინრიქ რომ იხუმრა და იხუმრა „ფუნდამენტურად“. სანამ იმანულ კანტის ფილოსოფიური თეორიის მიხედვით ფრანგები ბიურგერულ რევოლუციას ახდენდნენ, გერმანელი ჰანსი ჯერაც ჩაჩით დადიოდა“, რითაც ხაზი გაუსვა თორორიაში (ფილოსფიზი) უძლიერესი ერის პრაქტიკულ სისუსტეს, გერმანელი ბაურგერის შიშას საქმედასაქცევი სიახლისადმი. იმ „განუყოფელის“ ერთქმნა, ის „განამდვილებული“ იდეალი დაინახა თომას მანმა პალესტინაში და იგრძნო, რომ, როგორც თავად წერს — „ებრაელთა ქვეყანა აშენდება ისე, როგორც ეს მის ხალხს უნდა“, ჯერ სიმამაცემ და შემდეგ ჭეშმარიტმა იდეალიზმა ძლიერ ამაღლევან“ — წერს. „ხალხი“, რომელმაც თავისი სულიერება შეინარჩუნა და ძალუბს საკუთარი ხელებითაც იშრომოს, — აიშენებს ახალ ცხოვრებას“ ეს ცხოვრება მინაშია ფესვგადგმული და მომავლისკენაა მიმართული, ამიტომაცაა იგი მყარი ცხოვრება — „იოსები და ძმანი მისინი“-ც „იმ“ პრობლემას მიუძღვნა, „სულისა“ და „საქმის“ „ერთქმნის“ პრობლემას.

## რომან აბრამოვიჩი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ



როგორც გაზეთი „Jerusalem Post-ი“ იუნიება, მილარდერმა რომან აბრამოვიჩმა, რომელმაც შარშან მიიღო ისრაელის მოქალაქეობა და საცხოვრებლადაც იქ გადავიდა, ებრაულ სააგნენტოს („სონხუთი“) ხუთი მილიონი დღობარი შესწორა. ებრაული სააგნენტოს საერთამორისო განყოფილების თანამშრომენი ამბობს, რომ ეს თანხა გამოყენებული იქნება მთელ მსოფლიოში ანტისემიტიზმის ნინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, რომან აბრამოვიჩმა არა-არა კომენტარი არ გააკეთა, სოხნუთის თავმჯდომარემ იცხაკ ჰერცოგმა კი მსოფლიოს ქვეყნებში ებრაელთა უსაფრთხო ყოფილისათვის ერსებითი ფარგლენისური და გადაუხადა.

იცხაკ ჰერცოგმა აღნიშნავს, რომ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტისემიტიზმის ნიადაგზე წარმოშობილი ინცინდენტების ზრდა გავალებს ებრაელთა უსაფრთხოება მთელ მსოფლიოში ანტისემიტიზმის ნინააღმდეგ საბრძოლველად.

— ფაქტია: ებრაელები ევროპის ქუჩებში კვლავ საფრთხეში აღმოჩნდნენ. ცედილობ მსოფლიოს ლიდერები დავარწმუნო რომ ამ ტენდენციასთან საბძოლველად, საჭიროა ძალთა გაერთიანება.

ლონდონის „ჩელსის“ მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა (2019 წლის და-საწყისის მონაცემებით 13.1 მილიარდი დოლარის პატრონი გახსავთ) ბოლო წლის განმავლობაში მსოფლიოს ებრაული თემების საჭიროებისათვის 500 მილიონ დოლარამდე შესწირა, ხოლო ამავე პერიოდში მისი მთლიანი საქველმოქმედო დანახარჯი 2.5 მოლიარდი დოლარია.

## ისრაელში ცხოვრება ძვირდება

თებერვალ-მარტში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ბინები კი 0.5% გაძვირდა — ისრაელის ცენტრალურმა სტატისტი



# რას ვპიოთხულობო ამ პვირაში? რაბინის კუთხე



## შიგონი ციცავაშვილი

კვირის თავი “სუკათ”-ი იწყება სიტყვებით “ და უთხრა გამჩენმა მოშეს და პარონს, უთხარით ის რაელის შვილებს, რომ ესაა თორის კანონი, აიღონ ნითელი ძროხა და მოუტანონ ელყაზარ ჰაქონებს ისეთი ნითელი ძროხა, რომელსაც არ აქვს არანაერო ხინჯი და დაკლან მის წინაშე და დაწვან იგი ცეცხლში და შეინახონ მისი ფერფლი ” ამ ნითელი ძროხის ფერფლს გამოიყენებდნენ სულიერად უწმინდური ადამიანისთვის, წყალში ურევდნენ და მესამე და მეტვიდად დღეს ასხავდნენ ამ წყალს უწმინდურ ადამიანს. თორა ამ უწმინდური ადამიანის წესს უნდოებს სიტყვებით “ესაა თორის წესი” ანუ ამ სიტყვებით თორა გვასწავლის, რომ ეს წესი მთლიანი თორის წესია მთლიანი თორის შინაარსია, ამაზე ჩნდება შეკითხვა როგორ

შეკითხვა პირველად ესმოდეს, პასუხობს: „მისი უმაღლესობის უზენაესი კანონი მაძლევს უფლებას, ვირიცხებოდე ამ ინსტიტუტში, ჩემი მამა — არონ ფილხაზის ქვეყნაში და ქალაქის ხმოვანი გახდავთ.“ მერე აღმოჩნდება, რომ ეს პროფესორი თავად არის გაქრისტიანებული „შიდა“, „ამიტომაც სვამს ამ კითხვას დაუსრულებლად!

თუმცა გული ყველაზე მეტად ერთმა ებრაულმა ტრადიციამ ამიჩეროლა — ის-რაელისშეიღილი სახლს რომ აშენებს და მოკაზმავს, რომელიმე კედელზე, გინდა ჭერზე, ორი ადლი — ერთი ადლი სიმაღლეში, ერთი ადლი სიგანეში, მოურთავ-მოუკაზმავი უნდა დატოვოს. არ შეღებოს, არ მოხატოს, ასე მახნჯასა და შემზარავს ყოველდღე — დილას, საღამოს, შუადღეს უნდა უყურებდეს. ის ორი ადლი კედელი არის სხვონა დაქცეული სახელმწიფობრიობისა და იერუშალამის. ამის შემცურეს არა-სოფეს დაავინყდება თავისი უბრძალება.

କ୍ଷାରତ୍ୟୁ-ଶ୍ଵରାୟାଲ ତାନାଚିତ୍ରବ୍ୟକ୍ତିରେ ଏହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲା  
କ୍ଷାରତ୍ୟୁ-ଶ୍ଵରାୟାଲ ତାନାଚିତ୍ରବ୍ୟକ୍ତିରେ ଏହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ ହେଲା

მე ვთქვი, რომ მთავარ პერსონაჟთა  
(პერაელთა) ყოველ ნაბიჯს, რომელთაც  
ისინი საქართველოს საკეთილდღეოდ დგა-  
მენ, საფუძვლად მანც ის უდევს, რომ უ-  
ირველესად თავიანთი საშმიბლო უყვართ,  
მისი სხვონა აქვთ გულში. ავტორი, ვგონებ,  
საგანგებოდ აქცევს ყურადღებას თავის  
ტერიტორიზე მცხოვრები, თუმცა სახელმ-  
წიფოებრიობადაკარგული ქართველისა და  
საუკუნეების განმავლობაში სხვათა მინაზე  
მცხოვრები ებრაელების ყოფის მსგავსებას.  
რუსი მსახიობები გაპყვირიან სცენიდან:  
„დასცხეთ ურიებს, თუ ურიებს ბდლივოს  
არ გაადგნთ, რუსეთი ხელში შემოგვადნება,  
ვიღუპებითო“ შემდეგ კი საკურებულოს სხ-  
დომათა დარბაზში ისევ რუსი გენერალი

სქექეს დიდი ხნის ნაოცნებარს: „მთელი საქართველო უნდა ავაგეთქოთ, დავან- გრიოთ!..“ პირველ შემთხვევაში დიდმა ბატონმა, ნიკო ლორათაქიფანძემ დაიცვა ქალაქის ღირსება — დატოვა თეატრი, საკრებულოშიც გამოჩნდა პასუხის გამ- ცემით. მარტი დარწინილი ელიგულა კი, თავისთვის გასაოცარდ აღმოაჩენს, როგორ ჰგავს საუკუნების ჩინანდელი რომის სარ- დალი (იერუსალიმის დამაზგრეველი) დღე- ვანდელ რუს გენერალს.

ბეგით ქნესეთი, ეპრაელთა ტაძარი, ერთ-ერთი პერსონაჟია რომანისა. სულიერი სიმშვიდის გარდა, იქ ეროვნული სულისკვეთება ტრიალებს... სიამაყითაა მოთხოვნილი, როგორ თარგმნიან ქუთაისში თეოდორ ჭერცლის „ეპრაელთა სახელმ-

ჰქონდეს, ვიდრე ცოდვები და თქვას, რომ მერე რა რო ცოდვებიც მაქვს, მე ხომ მიცვები უფრო მეტი მაქვს და მშვიდად იყოს. თოროა გვასწავლის, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს მისწრაფება, რომ ცოდვები მაქსიმალურად გააძათილოს- თეუბუა გააკეთოს და თავის თავი დაიყვანოს ცოდვებთან მიმართებაში კველაზე მინიმალურზე. ამაზე უნდა ეცადოს ადამიანი სულ უფრო და უფრო შეამციროს ცოდვები თუნდაც მაშინ, როდესაც მიცვა და კეთილი საქმე ისედაც მეტი აქვს. თორო კიდევ დამატებით გვასწავლის იმას, თუ ადამიანს რისი შესაძლებლობა აქვს თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ამას ადამიანი ვერ ხედავს, ნებისმიერი მიცვას ადამიანმა რომ შეხედოს იძახის კი მე ამას შევძლებ შევასრულო, ან ვერ შევძლებ, რომ შევეკითხოთ ადამიანს შაბათის დაცვას შეძლებს თუ მხოლოდ ქაშერი საჭმლის ჭამას შეიძლება ან ის თქვას ან ის, ან რომ ვკითხოთ შაბათის დაცვას უფრო შეძლებ თუ თევზილინის ყოველდღე დადგებას? შეიძლება თქვას, რომ მას უფრო უადვილდება შაბათის დაცვა რაცარუნდა გასაკვირვები იყოს, მაგრამ თორო გვასწავლის ჩავის კვირის თავიდან ხუკათობან, რომ ადამიანს აქვს საშვალება, ძალა და პოტენციალი, რომ სინამდგილეში რაც გამჩენება მოგვცა მიცვები და დავალებები ყველაფერი შევასრულოთ, უბრალოდ ადამიანი ამას ვერ ხედავს და ვერ გრძნობს, რადგან ეს მისი სურვილის უკან არის დაფარული, ყველა მიცვის შესრულებისთვის საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ სურვილი გაუჩინდეს ადამიანს და გადადგას პირველი ნაბიჯები მიცვისკენ და შემდეგ თვითონ ხედავს ადამიანი თურმე ყველაფერი უადვილდება ლოცვაც, თევზილიმის დადებაც, შპათის დაცვაც, ქაშერი საკვების ჭამაც და ყველაფერი ნელ ნელა უადვილდება, ის რაც ადამიანის წინ დაბრკოლებად არისე ეს არის მხოლოდ სურვილი, რადგან მას სურვილი აკლია, სურვილის გაჩენის შემდეგ როდესაც უნდება ადამიანს რაიმე მიცვის შესრულება ყველაფერში მომენტალურად ეხმარება გამჩენი, ამაზეა ნათელამი წითელ ძროხაზე, რატომ მხოლოს ერთი ფერის თმა? რადგან ადამიანსაც შეუძლია ცოდვების იმდენად შემცირება როგორც ეს ერთი ფერის თმა მთავარია ადამიანის მონდომება. გამჩენი დაგვეხმაროს სულ უფრო მეტ და მეტ მიცვებს ვასრულებდეთ კველა ისრაელის შვილი და მაშიახის მობრძანებაც დაგვიჩქაროს გამჩენმა ჩვენს დღეებში ამენ. შაბათ შალომ.

ეს ისტორიული ონანილებობა ამილია და კიდევ შვილობრივობას წარმოადგინოს.

**თამარელა** ლონიორიამ ჰყითხა, ებრაული  
თუ იცითო და გაქცეულ ებრაელს მოვა-  
ბრუნებო, — ხატოვნად უპასუხა ბატონმა  
ოურამა.

ეს ცი გამოისახა კალურ განხსნელშევეკებს შორიდ, ძალიან ცულოდის, ამ დროს რდალს და ნიშ-გონიანის. ბოლოს თეატრმცოდნე მარინა ბუზუკაშვილის გამოსვლამ მართლაც რომ შეერა და დაამშვენა იმდღევანდელი შეხვედრა. აი, როსი ჩანერაც მოვასნარი მისი ნამდობიდან: გურამ ბათიაშვილისთვის დიდი იმპულსია ისტორიული ფაქტები. მნიშვნელი შანსს არ უშვებს ხელიდან, მშრალი ისტორია არ გახდის სისხლსაკვი.

იმ ამბაეს, რაც მოთხოვბა „სალოფავშია“  
გადმოცემული, სინამდვილეში მომხდარი

ფაქტი უდევს საფუძვლად. ჩემი დიდი პაპის აშენებულია ონის სინაგოგა. როცა კომინისტი მისა მისა დანართი აღარ მიატანა

და დაგვახეიერთ  
დაქმნაონ.  
აგრიშა თვევნი  
დებულება ის-  
? პიესები თუ  
რაღაცები  
წერება. პერსა  
ბის სიუჟეტები  
ის ისტორიის  
კუთხით, საქა-  
მათოვის არც

ძუთისტერება  
სა დაგრევება გადასცეიტეს,  
ჩემი აპარი მზაბალი (პარა უკე ალარ იყო  
ცოცხალი) შეუშვა იქ მთელი სოფლის ქალ-  
რალი, რათა მამაკაცების მონაწილეობა  
ამ საქმეში არ გამოჩენილიყო. ცხადია, უპ-  
ირველესად, საკუთარი დიდი ოჯახის ქალე-  
ბი და ბავშვები „გაიმება“. ეს იყო დიდი რის-  
კი, გამბედაობა, თავდადება ამ ხსლისა. თან  
სოფელ ლვარის მოსახლეობას თხოვა,  
გარედანაც წრე დაერტყათ სინაგოგისთვის.  
ვანდალები მართლაც შეწერდნენ. ამასობა-  
ში მამაკაცებმა აქ თბილისში, მთავრობაში  
საქმე „ჩანაწევეს“ და ასე გადარჩა ეს ძეგლი

დეს ქართულ-  
რამე ხომ არ  
დანგრევას.

ამ ურთიერთო-  
ვუფროთხი, ვინ-  
ა რატომ არ ახ-  
აბაბი არ მისცეს  
აიხსნოს. ზომ-  
ჩართული ეპი-  
ლორთვებიდანი-  
შემი მოგონილი  
ს გამო მწერლი

დასსასრულ ბატონმა გურამმა თავმდ-  
აბლურად მაღლობა გადაუსადა ყველა  
გამომსვლელსა და მსმენელს. აღნიშნა, რომ  
ქართული ლიტერატურული კრიტიკა სულ  
ცოტა ადმინისტრაცია ჩამოყალიბდა. უნდო-  
და ელაპარაკა ალექსანდრე ორბელიანის  
საზოგადოების დამსახურებაზე, მაგრამ ბა-  
ტონმა როსტომმა განვრცობის საშუალება  
არ მისცა. თქვენ რომ ციტატებს კითხუ-  
ლობდით ჩემი ნანარმობებიდან, სხვა-  
ნაირად, უკეთესად მესმიდაო, — გვითხრა  
მწერლამა. აგრძორთან ერთად ჩვინც კმაყო-

ო აღმოჩნდა ეს  
თ დიდი აღფურ-  
ო. საქართველო



## იორებ (სოსო) მომიაშვილი — 70

იორებ მომიაშვილს დიდ ღირსება ხვდა წილად: განსაკუთრებული პატივია იყო სალოცავის გაბაი, ე.ი. შენს თავზე იღებდე ვალდებულებას ზრუნველებას ჯამააზზე, ხელს უწყობდე, ეხმარებოდე მას ასრულებდეს მცნებებს. როცა ადამიანი ჯამააზისათვის ირჯება, მაღლს ეწვევა. იორებ მომიაშვილი სიამოვნების ეზიდება — ზრუნავს სინა-გოგაში მოსულ ყოველ ადამიანზე, იქნება იგი ჯამააზის რიგით წევრი, სტუმარი, თუ ამ ქალაქში თავისი საქმის გამო მოხვედრილი. სალოცავში მოსულ ყოველ ადამიანს სათანადო ყურადღება, ხელისშეწყობა სჭირდება

არ არის შემთხვევითი, რომ ყოფილი აშკენაზების სინაგოგა, დღეს კი „პეით რახელი“, რელიგიური სწავლების ერთ-გვარ ცენტრად — აქ დოლიდან სალამომდე არ წყდება თორის გაკვეთილები, ახალგაზრდა, თუ სანდაზმული ებრაელების სხვადასხვა წრის მუშაობა — ეს იმას ნიშნავს, რომ გაბაი იორებ მოშიაშვილი ვარგად უძლვება ბეით ქე-სეთის სისხლავეს ცხოვრებას. ისიც სასიამოვნო და მეტყველი ფაქტია, რომ იორებ მოშიაშვილის — გაბაის დაბადების დღისადმი მიძღვნილ სედერზე დიდი, ე.წ. ახალციხელების ბეით ქე-სეთის წარმომადგენლებიც მოვიდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალაქის ჯამააზი ერთი მიმართულებით მიდის.

იორებ მოშიაშვილს ვუსურვებ ჯანმრთელობას, მხერებას, რომ დიდხანს იდგეს ჯამააზის სამსახურში.

**რაპინი არიალ ლიკინი**

იორებ მოშიაშვილს ახასიათებს პატიოსნება და მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება. გაბაის მუშაობაში კიდევ რა არის მნიშვნელოვანი? ლეთისმოშიშება. არსებობს ასეთი სიტყვა „ბრახა“. — სიტყვა მოკლეა, მაგრამ დალიან ტევადი: ჩვენ ერთმანეთს ვაკურთხებთ, მაგრამ ადამიანი ჭეშმარიტ კურთხევას უზენაესისაგან ღებულობს — მან უკეთ იცის, თუ რა გვჭირდება ჩვენ. გაბაის კი განსაკუთრებული კურთხევა — ბრახა — სჭირდება — ის ხომ სინაგოგას ემსახურება. უზენაესის ნება აქცევებაზე ძლიერ ვლინდება.

ჩვენი სინაგოგის გაბაის იორებ მოშიაშვილს ვუსურვებ ჯანმრთელობას, წარმატებას. დაე, მის ირგვლივ ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ეს-მით მისა და ეხმარებიან ღირსაულად ემსახუროს უზენაესს.

**რაპინი ავიალას როზენბლატი**



### რობერტ ზინგერი გადადგა

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი ვიცე პრეზიდენტი რობერტ ზინგერი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა.

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესი ებრაელთა სათაო ორგანიზაცია, რომელიც სერიოზულ როლს თამაშობს სუთივე კონტინენტის ებრაელობის ცხოვრებაში. რ. ზინგერის ამ პოსტზე მუშაობის ხანა ერთობ ნაყოფიერი გახლდათ. ამ წლებში გაიზარდა მეკ-ის მოქმედების არეალი — დღეს მეკ-ი მსოფლიოს ასამდე ქვეყნის ებრაელობას აერთიანებს, გაიზარდა ამ ორგანიზაციის ბიუჯეტი.

რობერტ ზინგერმა ვრცელი წერილით მიმართა მეკ-ის ადრინდელ, თუ ამჟამინდელ წარმომადგენლებს, რომელშიც ვრცლად მიმოიხილა მსოფლიოს ებრაელობის ამ სათაო ორგანიზაციის თავისი მუშაობის წლები, აღნიშნა რომ შრომა გახლდათ ნაყოფიერი და წარმატება უსურვა კონგრესის პრეზიდენტს როლად ლაუდერს.

### რატომ შეწყდა რეპარტიაცია საფრანგეთიდან?

ისრაელის ტელევიზიის მე-12 არხმა ჩვენები ვიდეო მასალები, რომელზეც ასახულია საფრანგეთიდან ჩამოსულ ახალ რეპარტიანტთა სირთულენი.

ტელეარხის მონაცემებით, საფრანგეთიდან, ეკონომიკური თვალისაზრისით თითქმის უზრუნველყოფილი ქვეყნიდან, ისრაელში საცხოვრებლად გადავიდა დაახლოებით 35 ათასი ებრაელი. რეპარტიაციის მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ საფრანგეთში გაიზარდა ანტისემიტიზმი.

მაგრამ საფრანგეთიდან ისტორიულ სამშობლოში ჩასულ ებრაელთა ერთმანიშნილმა უკან დაბრუნება არჩია. რეპარტიანტი ისტორიული სამშობ-

ლოს დატოვების მიზეზად ასახელებენ:

- ა) ცხოვრების დაბალ დონეს,
  - ბ) სიძვირეს (განსაკუთრებით ძვირი ბინები და მოგზაურობა არისო)
  - გ) ენის სრულყოფილად შესწავლის სირთულეს,
  - დ) ისრაელის სათანადო ორგანოების მიერ ფრანგული აკადემიური ცოდნის დიპლომების არცნობას,
  - ე) ყოფილ დონეზე ისრაელელთა მიერ სხვებისადმი უპატივცემლობა.
- ამ სირთულეთა ფონზე სოხნუმა გამოაქვეყნა მონაცემები, რომლითაც დასტურდება, რომ საფრანგეთიდან ებრაელთა რეპარტიაცია მკვეთრად შემცირდა. ასე მაგალითად: ხუთი წლის წინათ — 2015წ. საფრანგეთიდან ისრაელში ჩავიდა 7.500 ებრაელი, შარმან 2018წ. კი 2600.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საფრანგეთიდან ისრაელში ჩავიდა 700 ებრაელი.

### ჯარიმა — მილიონობით ევრო

კომპანია „ნიდერლანდების რკინიგზამ“ ივალდებულა პოლოკოსტს გადარჩენილ ებრაელებს, ან მათს უახლოეს ადამიანებს კომპენსაციის სახით გადაუსადოს სათანადო თანხა — აცხადებს აცხადებანის აღმასრულებელი დირექტორი როჯერ ვან ბოკტელი.

ლაპარაკია იმ ებრაელებზე, რომლებიც ამ კომპანიის მატარებლებით გერმანიელ ფაშისტებს საკონცენტრაციო ბანაკებში გადაჰყავდათ. სადღესის მონაცემებით, წიდერლანდებში 500 ასეთი ებრაელია. ყოველი ამათგანი ერთჯერადად მიიღებს 15 ათას ევროს, პოლოკოსტის მსხვერპლთა ქვრივები მიიღებენ შეიდიოთას ხუთას ევროს, ხოლო შვილები — ხუთი ათას — შეიდი ათას ხუთას ევროს. მთლიანად კომპენსაციას მიიღებს 5-6 ათასი ადამიანი. ამ მიზნით, კომპანიამ უკვე გამოპყო ათობით მილიონი ევრო.

ისტორიკოსთა მონაცემებით, კომპანიამ პოლანდიის სხვადასხვა რკინიგზის სადგურიდან ვესტერბოკის ბანაკში 100 000 ებრაელი გადაიყვანა, იქიდან კი ისინი ოსვენციმში, ან სობიბორში მიჰყავდათ. ამ ასი ათასი ადამიანიდან ცოცხალი ხუთი ათასილა დარჩა.

## ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი

საპავშვო პროგრამა „შალომ სეზამი“ 2019-2020 სასწავლო წლებისთვის აცხადებს 4 წლისა და მეტი ხნის ბავშვების მიღებას.

ბავშვებთან მუშაობა ეფუძნება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლების ისრაელურ უახლეს მეთოდიკას.

### პროგრამაშია:

- ებრაული აღზრდა (რელიგიისა და ტრადიციების საფუძვლები)
- მუსიკა,
- სიმღერა,
- ხატვა,
- ივრითი,
- ინგლისური ენა,
- ექსკურსიები,
- საბავშვო სპექტაკლებსა და გასართობ ღონისძიებებზე დასწრება.

„შალომ სეზამი“ მუშაობს ყოველდღე (შაბათ - კვირის გარდა) 10:00-დან 17:00 საათამდე.

გათვალისწინებულია ქაშერი კვება.

### ცნობებისათვის მიმართეთ:

თბილისი, ვახტანგ VI ქ. №30, ებრაული სახლი, III სართ.

### საკონტაქტო ტელეფონები:

2157035, 2770653, 2772311 (დამატ. 230),  
597994005

### დაგენერაციები და

#### გამოხატვები:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11<sup>ა</sup>,

თელეფონი: 299.90.96, 277.20.57

### რეგისტრირებულია

#### მთავრობის მომართველის

გოგონა

რეგისტრაციის № 4/1-921

### რედაქტორი

#### გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16

გ.557

